



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030463050524016

04-262/ო

31 / მაისი / 2016 წ.

“2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N660 დადგენილებით დამტკიცებული 2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის N9 დანართის (დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა) ფარგლებში, ფოლიუმის მჟავის გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ

“2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N660 დადგენილებით დამტკიცებული 2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის N9 დანართის (დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა) მე-9 მუხლის მე-15 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტის, ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 31 მაისის N01/41808 წერილის გათვალისწინებით და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს “2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N660 დადგენილებით დამტკიცებული 2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის N9 დანართის (შემდგომში - დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამა) მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის (მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით უზრუნველყოფა) „ზ.ა“ ქვეპუნქტის ფარგლებში შესყიდული მედიკამენტის (შემდგომში - ფოლიუმის მჟავა) გაცემის და მიწოდების წესი, შემდეგი პირობების შესაბამისად:

ა) ფოლიუმის მჟავის გაცემის წესი ორსულზე:

ა.ა) ფოლიუმის მჟავის მიღება შეუძლია საქართველოს მოქალაქე ყველა ორსულს, ორსულობის 13 კვირის ვადამდე;

ა.ბ) ორსულობის დადგენისთანავე, ორსულმა ნებაყოფლობით უნდა მიმართოს ანტენატალური მეთვალყურეობის მიმწოდებელ დაწესებულებას (შემდგომში - დაწესებულება);

ა.გ) ორსულობის დადასტურების შემთხვევაში, დაწესებულების მიერ გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი არეგისტრირებს ორსულს ორსულთა და ახალშობილთა მეთვალყურეობის ელექტრონულ მოდულში, განსაზღვრავს (გაითვლის) ფოლიუმის მჟავის საჭირო რაოდენობას (კონკრეტულ ორსულისათვის ორსულობის დადგენის პერიოდებიდან ორსულობის 13 კვირამდე), შეაქვს შესაბამისი ჩანაწერი ზემოაღნიშნულ ბაზაში და გასცემს ფოლიუმის მჟავას სოციალური მომსახურების სააგენტოს

სპეციფიკური მედიკამენტების აღრიცხვა-გაცემის ელექტრონული ბაზის მეშვეობით, რომელშიც ავტომატურად ისახება ორსულთა და ახალშობილთა მეთვალყურეობის ელექტრონულ მოდულში მითითებული მედიკამენტის რაოდენობა;

ა.დ) ფოლიუმის მჟავა გაიცემა ერთჯერადად, დაწესებულებაში მიმართვიდან ორსულობის 13 კვირამდე საჭირო (სრული კურსის საჭიროება) ოდენობით;

ა.ვ) სხვადასხვა მიზეზით ორსულობის შეწყვეტის შემთხვევაში, ორსულს ეძლევა რეკომენდაცია, გააგრძელოს ფოლიუმის მჟავის მიღება მედიკამენტის ამოწურვამდე.

ბ) ფოლიუმის მჟავის მიწოდების წესი დაწესებულებისათვის:

ბ.ა) დაწესებულების მიერ ფოლიუმის მჟავის გაცემის უზრუნველსაყოფად, სააგენტო არეგისტრირებს დაწესებულებას სპეციფიკური მედიკამენტების აღრიცხვა-გაცემის ელექტრონულ ბაზაში, რათა შეძლოს ბაზაში მუშაობა, სამკურნალო საშუალების გაცემის მიზნით;

ბ.ბ) სააგენტო, ორსულების პროგნოზული რაოდენობის შესაბამისად, უზრუნველყოფს დაწესებულების მომარაგებას სამკურნალო საშუალებით;

ბ.გ) ფოლიუმის მჟავის გაცემა ბენეფიციარზე, აფთიაქების ნაცვლად - ანტენატალური მეთვალყურეობის მიმწოდებელი დაწესებულებებიდან, განხორციელდება ეტაპობრივად, მთელი საქართველოს მასშტაბით;

ბ.დ) საწყის ეტაპზე, ორსულებზე ფოლიუმის მჟავის გაცემას შეძლებს ქ. თბილისში მდებარე რამდენიმე დაწესებულება, რომლებიც შეირჩა მიმართვიანობის მაღალი მაჩვენებლის და ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინებით;

ბ.ე) ის ორსულები, რომლებიც დარეგისტრირდნენ იმ დაწესებულებაში, რომელიც საწყის ეტაპზე ვერ გადავიდა ფოლიუმის მჟავის დაწესებულებებიდან გაცემის ახალ მოდელზე, ახალშობილთა მეთვალყურეობის ელექტრონულ პროგრამაში რეგისტრაციისთანავე, პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა და რეცეპტის საფუძველზე, მიიღებენ ფოლიუმის მჟავას აფთიაქებიდან;

ბ.ვ) წინამდებარე ბრძანების ამოქმედების შემდგომ, ახალი დაწესებულების დარეგისტრირებისას ან ნებისმიერ სხვა გაუთვალისწინებელ (მაგ. ბენეფიციართა რიცხვის გაზრდა) შემთხვევაში, დაწესებულება წერილობით მიმართავს სააგენტოს ფოლიუმის მჟავის დამატებითი რაოდენობის გადაცემის თაობაზე;

ბ.ზ) დაწესებულების პროგრამიდან გასვლის შემთხვევაში, წერილობითი მომართვის საფუძველზე, სააგენტო თავისი შეხედულებისამებრ უზრუნველყოფს ფოლიუმის მჟავის დარჩენილი რაოდენობის გადატანას ანალოგიური სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებაში, შემდგომი გამოყენების მიზნით;

ბ.თ) ფოლიუმის მჟავის მოქმედების ვადის გასვლის თავიდან აცილების მიზნით, შესაძლებელია მისი გადატანა იმ ანალოგიური სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებში, სადაც მედიკამენტის ხარჯვა გაცილებით მაღალია;

ბ.ი) საწყის ეტაპზე, ფოლიუმის მჟავის დაწესებულებებიდან გაცემის ახალ მოდელზე გადასული დაწესებულებები უზრუნველყოფილი იქნებიან ფოლიუმის მჟავის 1 (ერთი) თვის მარაგით, რაც პერიოდულობით ჩანაცვლდება წლიური ოდენობით;

ბ.კ) დაწესებულებებისათვის მედიკამენტების მიწოდებას სააგენტოს სახელით უზრუნველყოფს შპს „მედიფარმა პლუსი“ (სამკურნალო საშუალებების საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე გაფორმების, ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის მომსახურების განმახორციელებელი);

ბ.ლ) დაწესებულება პასუხისმგებელია სპეციფიკური მედიკამენტების აღრიცხვა-გაცემის ელექტრონულ ბაზაში დაფიქსირებული ინფორმაციის სისწორეზე.

2. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტს (კ. ჩხარტიშვილი):

ა.ა) ადმინისტრირება გაუწიოს ბრძანების შესრულებას;

ა.ბ) უზრუნველყოს ანტენატალური მეთვალყურეობის მიმწოდებელი დაწესებულებების ინფორმირება წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებულ საკითხებზე და მოთხოვნის შემთხვევაში, მათთვის კონსულტაციის გაწევა;

ბ) სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართების განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის თანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე